სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 802

დამატების № 141

კვირა, 20 იანვარი 1913 წ.

მოზუც ბრალმდებლის ზღაპარი

(მოთხრობა შ. არციბაშევისა.)

შემოდგომის ცივი საღამო იყო. მიწურული მთვარე ტიტველა ხეებს და გომურის შავს ბანებს ანათებდა. გაციებულ ცაზე მთვარის კაშკაში შესაზარი და უცნაური იყო. მიყრუებული შავს მიწას, რომელსაც არავითარი სიცოცხლე არ ეტყობოდა, თავს დასცქეროდა, რაღასაც ჰხედავდა, რაღასაც ჰგრძნობდა იმისთანას, რის ცოდნა და გრძნობა ადამიანს არ შეეძლო. ამ სიბნელით მოცულ უფსკრულზე ლურჯი ცეცხლის ალი მოსჩანდა, ოავდახრილ მწვანე ბალახის ელვარება ვიღაცის ბედს დასტიროდა.

ძველ თავადის აივანზე სანთელი ბჟუტავდა. ჭუჭყიან სუფრაზე, ჭიქების და ჭურჭლის შუა, ბრალმდებლად ნამყოფის მოკლე თითებიანი ხელის შავი ჩრდილი მოსჩანდა.

ამ, ყველასაგან დავიწყებულ ძველ თავადის სახლში, ერთი მოხუცებული ბრალმდებლად ნამყოფი სცხოვრობდა. ლოთობას მისთვის ყოველივე პატიოსნება დაეკარგვინებინა. მისი უშველებელი თავი, დაბერებულ და უვარგის დათვის თავს მოგაგონებდათ, რომელიც ყოველ სულდგმულისგან დავიწყებული ტყის წვრილიანში მარტოდ-მარტო კვდებოდა, რადგანაც ის აღარავისთვის საჭირო არ იყო.

წყნარად, წყნარად, არ გაალვიძოთ!
ნახატი ტუმინისა.

მისი ლაპარაკი ყრუდ მოისმოდა. ეტყობოდა, რომ დიდი ხანია არ ელაპარაკნა. იმისი ლაპარაკი ჭაობის ბუყ-ბუყს მოგაგონებდათ. დროვამოშვებით, როდესაც ძალიან გაბრაზდებოდა, მამლაყინწასავით ყელში წამოიყივლებდა ხოლმე.

— ასე, ჩემო მეგობარო!—ეუბნეოდა ახალგაზდა, კოხტად გამოწყობილ გამომძიებელ ვერიგინს, რომელიც ერთ გამომძიებიდან მეორე გამოსაძიებელ საქმის მოგზაურობის დროს, ძალაუნებურად, მასთან ჩამომხტარიყო.—ეგ, მხოლოდ მიღებულია, რომ აგრე იფიქრონ... რადგანაც მათთვის ეგ უფრო ხელსაყრელია... ვითომ ყველანაირი ჭირი, სამართლის შეუსრულებლობის გამო მოხდება. ნამდვილად კი მისი მიზეზი უფრო ღრმად არის დამარხული... არ არსებობს იმისთანა ჯილდო, რომელშიაც უეჭველად თუ პირდაპირ არა, ბარბაროსული უსამართლობა მაინც იმალება. მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ თუ ქვეყანაზე არსებობს იმისთანა ჯილდო, რომელსაც შეიძლება პატივისცემით მოეპყრო, ეს პირადი ჯილდოა... ჰო, ჩემო მეგობარო!.. ეს ასეა, და ვოლტერიანები ამაოდ ლაპარაკობენ. სამწუხაროა, მაგრამ ბუნებრივია!.. დიახ!.. მეგობარო, ერთი ბოთლი მომაწოდეთ, დავლევაცივდა... შემოდგომა წელს ადრე დაგვიდგა.

— მომისმინეთ კირილ კირილიჩ!—წამოიყვირა აღელვებულმა ვერიგინმა.—სისულელეს ლაპარაკობთ! განა თქვენს თავს ანგარიშს არ აძლევთ?.. ეგ ხომ ბარბაროსობაა, თვით მსაჯულებაა, ლინჩეს კანონია!

მოხუცებულ ბრალმდებელს სახე დაემანჭა და გამომთვრალი სახით სტუმარს შეჰხედა.

— დაუბუმბლაო ბარტყო! — მოულოდნელის სიმკაცრით წამოიყვირა ბრალმდებელმა—საიდან იცით: იქნება ლინჩეს კანონების ერთად-ერთი იდეალური ფორმაა მართსაჯულებისა, რომლის გარშემოც მთელი კაცობრიობა ტრიალებს და ბოლოს მაინც ვერ მიახწევს. შეიძლება იმიტომ, რომ ან ვაჟკა-

ცობა არა ჰყოფნის, ან შეიძლება... მაინც რომ მიახწიოს, შეიძლება უარესი ჭირი დაატყდეს.

მოხუცი ბრალმდებელი გაჩუმდა, ქვეითა ტუჩი გამოიბერა და ღვინის წრუპა დაიწყო. მის ჟილეტს ღვინის წვეთები ეცემოდა და ლაქებად რჩებოდა; განიერი ყანყრატო ისე გაებერა, გეგონებოდათ შიგ რაღაც ოცხალი ცხოველი დაბობღავსო.

— თუ ლინჩეს კანონს ასეთ აღტაცებაში მოჰყევხართ, რაღაცა გგონიათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა უფრო დიდი უბედურება მოჰყოლოდა?.. ვგონებ სხვანაირად უნდა მომხდარიყო!—ძალდატანებულის ირონიით წამოიძახა გამომძიებელმა.

— განა მე ლინჩეს კანონი მომწონს?—გაიღიმა ბრალმდებელმა.—მე ქვეყანაზე არაფერიც არ მომწონს! მეგობარო, უპირატესობას ვაძლევ... კი არ მომწონს, უპირატესობას ვაძლევ... ამაში დიდი განსხვავებაა!.. გთხოვთ ამას დიდი ყურადღება მიაქციოთ. აი, უბედურება რად მოხდებოდა: ხალხის უმრავლესობა პირადი ჯილდოთი არა სცხოვრობს, და ვეჭვობ, რომ ოდესმე რამე წმინდა არსებულიყო!.. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ ყველას ეს უფლება ჰქონოდა მინიჭებული!.. მთელს დედა-მიწის ზურგზე ვერ იპოვიდი იმისთანა ორ ადამიანს, რომელსაც ხელს არავინ არ ახლებდა და რომლებსაც არავითარი ავაზაკობა არ ჩაედინათ თავიანთ წარსულ სიცოცხლეში... ან კიდევ, ადამიანის ცხოვრებაში ხელი არ გაერიათ!

საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი
რაიმონდ პუანკარე.

— რასა ბძანებთ!—ჩაიქნია ხელი ვერიგინმა,—ეგ უცხო განყენებული აზრია!

— არა, ეს განყენებული აზრი კი არა, სიმართლეა! აბა თქვენს ნაცნობებში ხუთი კაცი მაინც დამისახელეთ იმისთანა, რომ გულზე ხელი დაიდოთ და სთქვათ: ისინი ღირსნი არიან რომ იცოცხლონ, რადგანაც ყელზე სხვას არ ახვევიან, სხვას არაფერს ართმევენ, არავის არ უშლიან ცხოვრებას და იმათი ცხოვრება ეჭვის ლაქას არის მოშორებული! ჩვენთვის ვილაპარაკოთ: ამისთანა ხალხი, ხომ სამოთხის ღირსნი არიან!.. რად განაც ძველებურ ადათებით ეს ხალხი უცოდველია. მართალნი და წმინდანნი იქნებოდნენ. მხოლოდ სამოთხის კარის წინ ისპობა ცოდვა და იმის აქეთ კი ყველა დანაშაულობა სასჯელის ღირსია. რას იტყვით? მართალს არა ვლაპარაკობ?

ვერიგინი მოხუცებულ ბრალმდებელს დაღონებული შესცქეროდა, მაგრამ ვერ გაეგო, ხუმრობდა თუ მართლა ლაპარაკობდა, თავის თავს კი ნაწყენად ჰგრძნობდა. ბრალმდებელის მოკლე თითებზე, ჭუჭყიან პარუსინის ჟილეტზე და ბებერ. მსახიობისავით გაპარსულ ნიკაპზე, რომელიც დიდი ხნის გაპარსული იყო, ვერიგინს ბრაზი მოსდიოდა და სიძულვილი ამის ცქერის გამო უფრო და უფრო ეზრდებოდა.

— განვაგრძოთ ეს ლაპარაკი, — წამოიყვირა ბრალმდებელმა, რომელმაც პასუხის მიცემას აღარ მოუცადა,— წარმოიდგინეთ სამოთხე, ნამდვილი სამოთხე, რომელსაც ბავშობაში გვისახავდნენ. ცისფერი მაღლობი, ბაღი, ისე, როგორც ერთი მნათობი, კეთილსულოვანი, ანგელოზნი და სხვა... და ვისაც თქვენ იცნობთ შიგ შეუშვით... აფიცრები, ღვდლები, მოხელეები, გიმნაზიელები, სტუდენტები, დიაცები... მერე ნახეთ სისულელედ გეჩვენებათ თუ არა, და ცოტათი მაინც არ შეგრცხვებათ, რომ ვითომც რაღაც სისულელე, რაღაც სათაკილო საქმე ჩაგედინოთ...

— რა სისულელეა... რა შუაშია აქ სამოთხე? წამოიძახა გაბრაზებულმა ვერიგინმა.

— სამოთხე აქ ისე... წარმოსადგენად... როგორც სიმბოლო უცოდველობისა. იმნაირი ადგილი, სადაც მხოლოდ უმანკო კაცი შეგიძლიან წარმოიდგინო.

მოხუცებულმა ბრალმდებელმა რიგიანი ცხოვრების მოწინააღმდეგე ადამიანივით დაუმატა:

— მერე, დამერწმუნეთ, რომ ყველა თქვენს ნაცნობებიდან, რომელნიც თქვენ შეგიძლიანთ იმ ადგილას წარმოიდგინოთ, უთუოდ ხუთი მისთანა მშვენიერი გულუბრყვილო ქალი იქნება, რომლებსაც თავიანთ ქანწულობა ჯერ არ დაუკარგავთ. ასეა თუ არა? ხომ მართალს ვამბობ?

— ყური დამიგდეთ...

— არა... ხომ მართალია? მაგალითად ჟენიჩკა ლელეპნევა?.. ჰა?.. ამ სამოთხეში საკმაოდ გამჭვრეტ ტანისამოში გამოწყობილი... ჰა?

ამითი დამტკიცდა, რომ მოხუცებულ ბრალმდებელს ვერიგინის გულის ძგერა სცოდნია და თურმე დასცინოდა.

— მომისმინეთ!—ხმა მაღლა წამოიყვირა გამომძიებელმა და ასადგომად მოემზადა.

მოხუცს შეეშინდა. უცბად წამოხტა, დაუჭირა გამომძიებელის ხელები, დიდის ვაი ვაგლახით სკამზე დასვა ტ ენა დაბმულმა ლუღლუღით განაგრძო:

— კარგი, კარგი... ჩემო მეგობარო, მაპატიეთ, ნუ ჯავრობთ... მეარ ვიცოდი... ღმერთმანი მე თქვენი წყენა არ მინდოდა და ამას იქით ჟენიჩკას დიდის პატივისცემით მოვეპყრობი... კარგია, გეყოფა, ნუ ჯავრობ...

ვერიგინი ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა, თან უთავბოლოდ ხელებს აცოდვილებდა.

— კარგია, მაპატიე, ჩემო მეგობარო... მართლა რა არის!.. ყველაფერი, ხომ სინამდვილედ არ უნდა მიიღო! ღმერთმანი, არავითარი ცუდი აზრი არა მქონია, ისე, როდესაც ვკამათობ... მეგობარო, ნუ ჯავრობ, აბა, დავლიოთ... კაი, მოხუცებულ კაცზე ჯავრობა გეყოფა... მე ისე ბებერი ვარ, რომ პაპად შეგფერი.

ვერიგინს შერცხვა, რომ მოხუცებული ასე თაღლითობდა, შეიკავა, რომ სიმთვრალეს არ აელაპარაკებინა. გარემოებაც ხელს არ უწყობდა: ჯერ სადგურიდან ცხენები არ მოეყვანათ და ფეხით ხომ არ წავიდოდა.

ბრალმდებელმა ჩუმად შეხედა და თითქოს იქ არაფერი მომხდარიყოს, ისევ იმავე ხმით განაგრძო:

— იმ გულუბრყვრელო ქალებზე იმისთვის დავიწყე ლაპარაკი, რომ თითონ ჩვენც უმწიკვლონი არა ვართ... თუნდაც, ავიღოთ, იგივე სქესიური ვნება... მაგრამ ეს არაფერი, საქმე იმაშია, რომ გავისხნათ ხელები და საშუალება მივიცეთ მთელი კაცობრიობა აბსოლიუტურ სიმართლის ზომაში მოვიყვანოთ, მაშინ იძულებულნი ვიქნებოდით მთელი კაცობრიობა სიიდან ამოგვეშალა. უშველებელი აუტოდა—ფე მოხდებოდა... ჰო!

ბრალმდებელმა სანთლის წვერ ზევით ღამის სიბნელეს გაჰხედა, მისმა თვალებმა ისეთი სიმკაცრით გაიელვა, რომ გამომძიებელმა იფიქრა:

— განა შენ შეგეძლო ეგ წმინდა გულით შეგესრულებინა!

მაშინ ნათლად დაინახა, თუ რამდენად მაღლა იდგა გამოუსადეგარ მკაცრ გამოსადეგ ბებერზე და დამშვიდდა.

— დიახ, დიახ,—წაილუღლუღა ბებერმა დათვმა.

— ვისაც კი ვიცნობდი, სუყველანი მოვიგონე, ათას გვარ სხვა და სხვა ხალხს ვიცნობდი და არც ერთი მათგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალკანეთის ომი



ოსმალეთის 140 ზარბაზანი, რომელიც ბულგარებს დავლად დარჩად.

აბსოლიუტურ სიმართლის წინ არ არის იმისთანა წმინდა, რომ ყოველივე უფლების აყრის ღირსი არ იყვეს!.. რასაკვირველია ამას მე საზოგადოდ ვლაპარაკობ...

— ნუ თუ, არც ერთი!?—შეუბრუნა სიტყვა გამომძიებელმა და თან შეკრთა, არ ვიცი სიცივისგან თუ იმ სურათის გამო, რომელიც მას თვალწინ წარმოუდგა.

— დიახ, დიახ... დაცინვით წარმოსთქვა ბრალმდებელმა:

— სოდომში ორი მართალი ადამიანი იყო, მე რომ ღმერთი ვყოფილიყავი იმ ორი ადამიანისთვის არ დავიწყებდი მოთმენას, იმ დროს როდესაც იქ რამდენიმე მილიონი ხალხი ქვეყანაზე წვრილმან ანგარების გულისთვის ცხოვრობდა. უკაცრავად და, ამისთანა მათემათიკური ანგარიში დიდი სისულელეა.

ბრალმდებელი გაჩუმდა. დიდხანს თავს იქნევდა, გაპარსული ნიკაპი გულამდის დაუშვა.

ვერიგინიც გაჩუმებულიყო და ჩაფიქრებული გულმოდგინედ ყურს უგდებდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მთვარე ჩასული იყო, მხოლოდ ერთი ალმასიური სხივი ღა ანათებდა.

მოხუცებულმა ბრალმდებელმა თავის აზრებს ჩუმად ჩაუცინა და ღვინით სავსე ბოთლს ხელი წაატანა. მოკლე თითებიანი მსხვილი ხელი ჭუჭყიან სუფრაზე მისცურავდა და თან შავი ჩრდილი მისდევდა.

— როდესაც ახალგაზდა ვიყავი—დაიწყო ბრალმდებელმა-ბრალმდებლის ამხანაგად დანიშვნის წინ ასეთი საქმე შემემთხვა: ერთი ცამეტ-თოთხმეტი წლის ბავშვი და ერთი დედაკაცი მოჰკლეს... მკვლელობა ძალდატანებით იყო მომხდარი, იმიტომ რომ გაეძარცვნათ... მკაცრი და ჭუჭყიანი საქმე იყო. საღამოთი მივედით, როგორც შევამჩნიე მოხელეები სუყოველთვის საღამოთი მიდიან... მივედით, თავი მოუყარეთ გაგებულ ხალხს და წავედით...

ცოტა ხანს გაჩუმდა, გეგონებოდათ იგონებსო.

— ქოხი, რომელშიაც მკვლელობა მოხდა სათიბში იდგა. როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა მოხუცებული დედაკაცი ღვინით ვაჭრობდა... მივედით... დაღალულები ვიყავით... შებინდებული იყო. დარაჯი ქოხის შორი-ახლო იდგა,—ეშინოდა. შევედით. მართლა, რომ ქოხია... დაბალი ჭერი, კუთხეში ხატი ჰკიდია, მაგიდაზე ხელსახოც გადაფარებული პური დევს, ფანჯარაზე სანთელი ანთია; რადგანაც გატეხილ ფანჯრიდან და ღია კარებიდან ქარი უბერავდა, სინათლე მოუსვენრად ქანაობდა. მართლა, რომ შესაზარი სანახავი იყო: მიწის იატაკზე, დახეულ პერანგში პირქვე წაგდებული და ტან დალურჯებული დედაკაცი ეგდო... მოჭრილი თავი მაგიდის ქვეშიდან ცოცხალი ადამიანივით გამოიყურებოდა. როგორც ეტყობოდა მკვლელი დიდი ხანი წვალებულიყო, რადგანაც ქალი მძლავრი იყო და მკვლელი კი, როგორც მერე გამოირკვა, სუსტი ყოფილიყო... მაგრამ როგორღაც მოეტყუებინა, პირქვე წაექცია და ზურგზე ფეხი დაებჯინა. როგორც ეტყობოდა დანით ემუქრებოდა და ფულსა სთხოვდა, ქალი კი არ აძლევდა. მაშინ თმებით გადაეწია თავი და დანით ყელი გამოეჭრა. გასიებული კისერი უცბად ვერ მოეჭრა და, როდესაც წინააღმდეგობა გაეწია, დანა ფერდში დაეცა და ფერდიდან მომსკდარ სისხლს კედელი მთლად შეეღება... როდესაც დედაკაცი დასუსტებულიყო, გადაეწია თავი და თავის საქმე განეგრძო. სჭრიდა დიდხანს და კოპწიად, ბოლოს კი ქალისთვის ცოცხალი თავი მოეშორებინა... პირველად დიდის ხმით ეყვირნა მერე კი ხრიალით კვნესა დაეწყო... გლეხობას, რასაკვირველია, შეშინებოდა და შიგ შესვლა ვერ გაებედნა, რადგან სწორედ იმ დროს სოფლის გარშემო ციგნები დაყაჩაღობდნენ; ხომ კარგად იცით, რომ რუსის გლეხისთანა მშიშარა კაცი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება... დიახ... მერე, როდესაც დედაკაცს ყელი გამოსჭრა, იქვე შვიდი წლის ვაჟი და თოთხმეტის წლის ქალი იჯდა. აქაც სიმხეცემ მოუარა... ჯერ პირველად უნდოდა ქალისთვის ყელი გამოეჭრა, რომ ბოლოს არ ეცნო მას. წაავლო ხელი და ლოგინიდან უნდა გადმოეთრია, საცოდავი ქალი ლოგინს მოებღაუჭა, გეგონებოდათ იმისგან შველას მოელისო. ამ ბღლაძუნში ბავშვს მთელი ტანისამოსი გაეხადა, რომ დაინახა ტიტველი ტანი გამშაგდა... ამას წინად ექვსი თვე ციხეში იჯდა და უქალობის შიმშილით კვდებოდა. რაც იმ ბავშვს დაახწია, ეს მარტო ღმერთმა იცის!.. მუცელი სამგან გაუჭრა, ყელი გამოსჭრა და თითონ ისე გაისვარა სისხლში, რომ ყველა კედლები, იატაკი, აივანი და ალაყაფის კარი სულ წაბილწა... კაცი სიტკბოებაში შევიდა! ეტყობოდა ამ ნეტარებით სული შეჰგუბებოდა!.. გოგოსაგან პატარა ნაფლეთები-ღა დაეტოვებინა... აი ამ სურათით მოგვეგება ოთახი, როდესაც კარები შეკაღეთ და შიგ შევედით.

— დასწყევლოს ეშმაკმა!—წამოიძახა გამომძიებელმა.

— მაგრამ ამაზე უარესი იყო,—განაგრძო ბრალმდებელმა,—რომ აბ ყასაბობას, რომელიც კარგა დიდხანს გრძელდებოდა გოგოს პატარა ძმა სტიოპკა მაღლიდან დასცქეროდა. მკვლელს მისი მოკვლაც უნდოდა, მაგრამ პატარა გოგოს სიტკბოებით დასუსტებულმა თავის გზას გადაუხვია. მან მხოლოდ მოავლო ხელი სტიოპკას, დანა მაღლა ასწია, მაგრამ ამ დროს ბავშვმა საშინელი ხმით დაიწივლა:

— ვაიმე! ძია, ჩემო მშვენიერო! ჩემო ოქროს ძია! ხელს ნუ მახლებ!

და იმ ხელს, რომელმაც ის იყო ისე მხეცურად მოჰკლა მისი დედა და და, წოვნით კოცნა დაუწყო!.. მთელი სახე დედის და დის სისხლით ჰქონდა მოსვრილი. თან წიოდა, თან კიოდა და თან ხელებს უკოცნიდა. ამით ბოლოს სიცოცხლე გამოსტყუა!.. იმის ჩვენებით ბოლოს მკვლელი შევიპყრეთ.

იზიდორა დუნკანის ცეკვა პატარა მოწაფეებით.

ბრალმდებელი შეჩერდა.

როდესაც სტიოპკას ჩვენებას ვართმევდით ეტყობოდა, რომ მას თავის სიცოცხლე მუქთად არ შეენარჩუნებინა... იაფად არ დასჯდომოდა... მოგვიყვანეს გამხდარი სანთელისავით გაყვითლებული, დიდ თავა, თმებ გაგლეჯილი და თმებ ყალყდაყენებული ბავშვი, ჩვენების ჩამოსართმევად. ვეებერთელა თვალებს მხეცურად ახამხამებდა, გეგონებოდათ მისი მოზრდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თვალები ბუდიდან გადმოცვინას ლამობსო. ენა ბაყაყივით თავის თავად პირიდან უვარდებოდა!.. მისი შეხედვა საშიშარი, შესაზიზღი და მასთანვე საცოდაობა იყო! ძალიან კარგი იქნებოდა ბავშვისთვის, რომ ისიც მოეკლა! აბა, რა... კაცს კი არა, რაღაც დამანჭულ არსებას დამსგზავსებოდა...

ძლივ-ძლივობით ჩვენება ჩამოვართვით. მთელი სული ავხადეთ, მეორედ გამოვაცდევინეთ ის, რაც ერთხელ გამოსცადა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენება ჩამოვართვით...

— მერე რაძ?.. საცოდავი ხმით წამოიყვირა გამომძიებელმა.

მოხუცებულმა ბრალმდებელმა მკაცრად კბილები გააკრაჭუნა.

— როგორ თუ, რად?.. მკვლელი ხომ უნდა აღმოგვეჩინა?.. რომ მართლსაჯულებამ განსაჯოს!.. თქვენ აგრე ჰფიქრობთ?.. მერე ხომ სტიოპკა ერთად-ერთი მოწმე იყო, და ეჭვიც იყო მიტანილი, რომ მკვლელი უთუოდ იმ სოფლელი იყო და ბავშვს უეჭველად ეცნობებოდა. მაშასადამე?..

ვერიგინი გაჩუმდა, ბრალმდებელი კი დიდ ხანს გესლიანად პასუხს ელოდა.

— ჰო, ასე კი... დედას, რომ თავი მოსჭრა, თავი გაგორდა, დედამ კი ჯოჯოსავით ოთხფეხზე დაიწყო ხტომა. სისხლი ქრილობიდან შადრევანივით ასხამდა... შემეშინდა და მაღლა ფეჩზე ავედი, ტანკა კი შანიშანზე წამოწვა და გაჩუმდა... მერე, ვხედავ ტანკას მივარდა... მერე მე ის აღარ დამინახავს.. მერე ტანკამ, რომ ყვირილი დაიწყო, იმან შეუტია: — გაჩუმდი თორემ მოგკლამო! და ტანკას დანა ატაკა. იმ დროს ვტიროდი და კედელზე თავს ვარტყამდი, დედას თავი კი მაგიდის ქვეშიდან მიცქეროდა.

— რასაკვირველია მკვლელი შევიპყარით. სამი თვის შემდეგ, ბრალმდებლის ამხანაგად დამნიშნეს და იმის დახრჩობას დავესწარი... ჩვენში მაშინ სამხედრო წესები იყო გამოცხადებული.

არ აგიწერთ იმას, თუ რა შთაბეჭდილება იქონია ჩემზე სიკვდილით დასჯის გაგებამ... გულზე რაღაც დამაწვა, შემრცხვა, შემეშინდა და შუბლზე ცივი ოფლი დამასხა, აი რის თქმაც შემიძლიან. ამასთანავე შემიძლიან გითხრათ, რომ ის მკვლელი იმ ქოხში ან კიდევ მეორე დღეს შემხვედროდა, გეფიცებით პატიოსნებას, რომ ბაღლივით დავახრჩობდი! იქნება ისეთივე მხეცურად მომესპო იმისთვის სიცოცხლე, როგორც მან მოუსპო... მე ვიცოდი, რომ ის შეიპყრეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ხშირად ნაცნობებში მიხდებოდა ამაზე ლაპარაკი, რადგანაც პირველი სიკვდილით დასჯა იყო ჩვენს ქალაქში. მიუხედავად ახალგაზრდობის პროტესტებისა მუდამ ვიმეორებდი:

— ახია იმ საძაგელზე! მე კი არ ჩამოვახრჩობდი, ასო ასო დავკუწავდი მეთქი!

რა, მართალი არ არის!.. აბა, ერთი მითხარი, რად უნდა შემცოდებოდა? ვის უნდოდა, რომ არ მომკვდარიყო ნამდვილი მხეცი, რომელიც კაპეიკისთვის და თავისი ინსტიქტის დასაკმაყოფილებლად მზად იყო ყველანაირი სისაძაგლე ჩაედინა!.. თქვენ მეტყვით — კატორღა?.. განა კატორღას ვინმე გაუსწორებია?.. არა!.. მაშ, რაღა მოსაზრებაა, რომ ის სიბილწე რომელიმე დახშულ ოთახში იჯდეს და ათასი მშრომელი ხალხი აჭმევდეს, ასმევდეს და ჰყარაულობდეს?.. მის არსებობაში სასიამოვნოს რამეს არავინა ჰხედავდა, მხოლოდ სიბილწე და სისაძაგლე კი მასში ბლომად იყო მოთავსებული!.. ლოღიკაც ამას გვეუბნებოდა, რომ ის ამოგვეშალა!.. მე მგონია, ავაზაკობაზე რომ მომესწრო და იქვე მომეკლა, არც სინანულს, არც ზნეობრივ შერყევას არ განვიცდიდი! პირ იქით მუდამ სიამოვნებით მოვიგონებდი, რომ იმ ბოროტებას და სიძულვილს, რომელიც მან თავის სიმხეცით ჩემს გულში აღძრა, ფართო გასავალი მივეცი.

სხვათა შორის, როდესაც გავიგე, რომ მის სიკვდილით დასჯას მე უნდა დავსწრობოდი, კინაღამ დამბლად დავეცი და მთელი სამი დღე მოუსვენრად დავიარებოდი! უეცრივ დამავიწყდა ვინ, რად, და რისთვის უნდა იტანჯოს. ვხედავდი მარტო იმას, რომ ეს მკვლელობა იყო, და ამ მკვლელობაში!..

ღამე, სიკვდილის დასჯის რამდენიმე საათის წინ, მე და სხვები, ვინც კი კანონის ძალით დასჯას უნდა დავსწრებოდით, სულ შეხუთულნი დიდის ცერემონიით ციხეში გამოვცხადდით.

ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იმას ეძინა... ალბად ხელოვნურ ნაწარმოებიდან ისე გვქონდა წარმოდგენილი, რომ იმათ, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი, უკანასკნელ ღამეს მაგრა სძინავთ... მაგრამ რა ეშმაკი დაიძინებს ამნაირ მდგომარეობაში, როდესაც მე თითონ იმ ღამეს ძილი სრულებით არ მომდიოდა და თუ ხანდისხან ჩამთვლემდა, უცბად გამომეღვიძებოდა და მთელ ტანზე ცივი ოფლი მესხა.

არავინ არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით და ამიტომაც უთავბოლოდ ავირიენით... ყველანი გამოშტერებულები ვიყავით, გეგონებოდათ სიკვდილის ალში იწვიანო... ყველაზე ძალიან დავთრები თვით ციხის უფროსს აერია. არ ვიცი რად, მხოლოდ ყველას აუკრძალა იმ ტალანში შესვლა, სადაც დამნაშავე იჯდა, მხოლოდ მარტო ერთი პენზენის პოლკის დარაჯი დააყენა. როგორც ეხლა მაგონდება... ყველანი რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანებად გადიქცნენ. ციხის უფროსი ერთ ადგილს არა ჩერდებოდა და ბებერი დედაკაცივით წამ-და-უწუმ საათს უცქეროდა... საათი ვერცხლისა იყო... მახსოვს ჯალათი კარებთან როგორ მიიყვანეს. იცით, მე ჯალათი ათას ნაირად მყვანდა წარმოდგენილი, ოღონდ ისეთი კი არა როგორიც გამოდგა. წარმოიდგინეთ ოპერეტიული ფიგურა, შავ დომინით, შავ ხელთათმანებით, რაღაც არაჩვეულებრივ ნიღაბით, რომლის ქვეშიდანაც ორი წითელი თვალი გამოიყურება, იმის ქვეით შეკრეჭილი ჭაღარა წვერი მოსჩანდა. ამბობდნენ, რომ ის ვიღაცა, გიმნაზიის მასწავლებელი იყოვო, მაგრამ სიცრუეა. გვერძე გაგვიარა, ყველას ეშინოდა ხელი არ ჩამოგვართვასო... ხომ შეეძლო ხელის ჩამორთმევა!.. რატომაც არა? — იმან თოკის საპნა-გამოყულფვა დაიწყო, ჩვენ მოვქმედობდით ისე როგორც კი შეგვეძლო, რომ იმისთვის ხელი არავის შეეშალა და კაცი გასაპნულ თოკსვე წაჰსვლოდა.

გათენებისას გაყვითლებულნი, თავზარდაცემულნი, შიშისაგან ფერმიხდილნი, ციხეში ჩუმად შევიპარენით, მუხლები, რაღაც საზიზღარ სისუსტის გამო გვეკეცებოდა. წინ ციხის უფროსი ფეხის თითებით მიგვიძღოდა, მას ჟანდარმის აფიცერი მისდევდა, მერე მე მივდიოდი, ჩემ შემდეგ დაბალ-დაბალი შავი მღვდელი, რომელიც ყოველ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ იატაკზე ჯდებოდა. ციხეში არაჩვეულებრივი სიჩუმე იყო. სიკვდილით დასჯის დღე საიდუმლოდ იყო შენახული და ამიტომ ყველას ეძინა. მაგრამ მაინც იმ დროს, როდესაც ტუსაღების კარებების ფანჯრებთან გავივლიდით, მუდამ შუბლზე ცივ ოფლს გვასხამდა. დარწმუნებულები ვიყავით, რომ თუ გაიღვიძებდნენ ერთი აურზაური ასტყდებოდა, დაიწყებდნენ: სტვენას, კარების და ფანჯრების მტვრევას, ყვირილს და ლანძღვა გინებას... და თუ შესაძლებელი იქნებოდა პირში შემოგვაფურთხებდნენ... გულში კი ვგრძნობდით, რომ ეს ჩვენ დამსახურებული გვქონდა. ჰო, და რა, იმაზე უარესის ჩადენა რასაც ჩვენ ჩავდივართ მე წარმოდგენითაც ვერ წარმომიდგენია. მაგრამ მადლობა ღმერთს... დაცინვით ჩაურია ბრალმდებელმა. — თუმცა კი ცივ ოფლში ვიწურებოდით, მაგრამ როგორც იყო მივახწიეთ. მაგრამ იმ ტალახში, სადაც იმის კამერა იყო, რაღაც ძნელად წარმოსადგენი მოგველოდა...

(დასასრული იქმნება).

ინი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.
რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.